* პროექტი*

საქართველოს კანონის პროექტი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 23/02/1996; სარეგისტრაციო კოდი: 220.020.000.05.001.000.126) 30-ე მუხლში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობას ან/და კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებულ ზარალს ან შესაძლო საფრთხეს. ამასთან, დაუშვებელია ერთი დარღვევისთვის რამდენიმე სანქციის დაკისრება.“.

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1, 4^2 და 4^3 პუნქტები:

„4^1. ეროვნული ბანკის მიერ სანქციის განსაზღვრის დროს დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: სანქციის გამოყენების მიზნის, შესაფერისობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის დადგენას. ამასთან, სავალდებულო წესით, თითოეული სანქციის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დასაბუთება.

4^2. ეროვნული ბანკის სანქციისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს დარღვევის ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადა დარღვევის ჩადენიდან შეადგენს 6 წელს.

$4^{3“}$. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სანქციის განსაზღვრის დროს კომერციული ბანკი, მისი ადმინისტრატორები და მაკონტროლებელი პირები ნაწილობრივ ან სრულად გაათავისუფლოს სანქციის დაკისრებისაგან თუ სახეზეა ერთი ან რამდენიმე შემამსუბუქებელი გარემოება, კერძოდ:

ა) დარღვევის გამოვლენის პირველი შემთხვევა;
ბ) ზედამხედველთან თანამშრომლობის მაღალი ხარისხი;
გ) დარღვევის შედეგად მიღებული ზიანის არარსებობა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**